საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 344 2018 წლის 11 სექტემბერი ქ. თბილისი

ქ. სალუქვაძისა და მ. ხმალაძისათვის „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს ქეთევან სალუქვაძესა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს მიხეილ ხმალაძეს მიენიჭოთ „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო

საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ“ შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება.

მამუკა ბახტაძე